

## ცნობილი ქუთაისელი ფოტოგრაფის ილო ხახიაშვილის შესახებ ბიოგრაფიული წიგნის „ილო ფოტოგრაფი“ შედგენის საკონკურსო დებულება

### 1. ზოგადი დებულებები:

- 1.1 წინამდებარე დებულება განსაზღვრავს კონკურსის მიზნებსა და ამოცანებს, კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს.
- 1.2 კონკურსის ორგანიზატორია თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.
- 1.2 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სრულწლოვან ფიზიკურ პირებს, რომელთათვისაც სავალდებულოა კონკურსის პირობების დაცვა და შესრულება.
- 1.3 კონკურსის ჩატარების ადგილი - ქალაქ ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №3

### 2. კონკურსის მიზანი და ამოცანები:

- 2.1. კონკურსის მიზანია ცნობილი ქუთაისელი ფოტოგრაფის ილო ხახიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნის შედგენა, რომელშიც აისახება მისი ცხოვრების ბიოგრაფიული მასალები და შემოქმედება, იმ ადამიანების მოგონებები, რომლებიც იცნობდნენ ილოს.
- 2.2 კონკურსში გამარჯვებული წიგნის გამოცემა
- 2.3 წიგნი საჩუქრად გადაეცემა ფოტოკონკურს „ილოში“ გამარჯვებულებს, ჟიურის მიერ გამოფენისთვის შერჩეული ნამუშევრების ავტორებს და სხვ.

### 3. მოთხოვნა ავტორებისადმი

- 3.1 წარმოადგინოს პირადობის მოწმობის ქსეროასლი
- 3.1 შეავსოს დადგენილი ნიმუშის განაცხადი
- 3.2 წარმოადგინოს CV
- 3.3 ავტორმა უნდა წარმოადგინოს გამოსაცემი წიგნის ელექტრონული ვერსია. ტექსტი აკრებილი უნდა იყოს Sylfaen-ში, pdf ფორმატში, 12 შრიფტით.
- 3.4 წიგნი უნდა იყოს ა4 ფორმატის, შავ-თეთრი, არანაკლებ 160 გვერდი ფოტომასალით.(როგორც ილოს მიერ გადაღებული ფოტოები, ასევე ფოტოები ილოს საოჯახო ალბომიდან)

### 4. განაცხადების მიღების და განხილვის ვადები

- 4.1 განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 30 სექტემბრის 18:00 სთ. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ფორმით ქუთაისის მერიის ელ.ფოსტაზე [contact@kutaisi.gov.ge](mailto:contact@kutaisi.gov.ge)
- 4.2 კომისია წარმოდგენილ ნამუშევრებს განიხილავს არაუგვიანეს 2021 წლის 05 ოქტომბრისა.

## 5. შეფასების კრიტერიუმები:

### 5.1 წიგნი ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

5.1.1. მხატვრული ოსტატობის დონე;

5.1.2. ენობრივი დახვეწილობა;

5.1.3 სუბიექტური ფაქტორი - მოწონს თუ არა. /ანუ რა შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე (წიგნის წაკითხვის სიმსუბუქე, საინტერესოდ წასაკითხი/.

5.2 სხვა დანარჩენი კრიტერიუმების თანაბრობისას უპირატესობა მიენიჭება იმ ავტორს, რომელიც ასახავს ილოს ცხოვრების და მოღვაწეობის დღემდე გამოუქვეყნებელ მასალებს.

5.3. თითოეული კრიტერიუმი ფასდება 10 (ათ) ბალიანი სისტემით

## 6. გამარჯვებული ავტორის გამოვლენა:

6.1 კომისიის წევრები გაეცნობიან წარმოდგენილ ნამუშევრებს და აფასებენ ამ დებულებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

6.2 გამარჯვებულად ცხადდება ავტორი, რომელიც დააგროვებს სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ჯამურ ქულათა უმრავლესობას.

## 7. დროებითი კომისიის შექმნა და მუშაობის წესი

7.1 კონკურსის დებულებას და დროებითი კომისიის რაოდენობას და შემადგენლობას ამტკიცებს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი შესაბამისი ბრძანებით;

7.2 კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე;

7.3 კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;

7.4 თუ ორმა ან მეტმა ნამუშევარმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ქულები, გადაწყვეტი იქნება კომისიის თავმჯდომარის ხმა;

7.5 კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. ოქმს ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი ბრძანებით.

## 8. საკონკურსო წინადადების ფასი

კონკურსში გამარჯვებულ წიგნის ავტორს გადაეცემა ფულადი ჯილდო 625 ლარის ოდენობით

## 9. საავტორო უფლებები

9.1. კონკურსში ნამუშევრის გამოგზავნისას ავტორი ავტომატურად აძლევს უფლებას კონკურსის ორგანიზატორს მიწოდებული მასალა გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ (ინტერნეტში განთავსება, ტელეგადაცემებში გამოყენება, დაბეჭდვა, გამოცემა შემდგომი ტირაჟირება და სხვ.)

9.2 კონკურსში გამოგზავნილი ნაშრომების რეცენზირება და უკან დაბრუნება არ ხდება.